პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 1 ოქტომბერი, 1949 წ. № 195 (8498). ფასი 20 კაპ.

F 75/3 ✓ 13922

დღეს გაზეთშია:

დაუღალავად ვიმუშაოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

უკრაინის სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

ბედნიერი ხალხის დიადი შემოქმედება (1-ლი გვერდი).

ე. ბურჯალოვი — ბოლშევიზმის მძლავრი იდეური იარაღი (მე-2 გვერდი).

ი. ჩოჩია — კომუნისტებისა და კომკავშირელების [illegible] იდეური დონისათვის (მე-3 გვერდი).

ვ. მელქაძე — დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები [illegible] დეგულად ხვდებიან სასწავლო წელს (მე-3 გვერდი).

გამოხმაურება საკრებულის 25 სექტემბრის ცნობაზე (მე-4 გვერდი).

ტოლიატის გამოსვლა ფლორენციაში (მე-4 გვერდი).

დაუღალავად ვიმუშაოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის

ბოლშევიკური პარტია, დიდი ლენინი და დიდი სტალინი ყოველთვის უაღრესად სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ რევოლუციური თეორიით კომუნისტების შეიარაღების საქმეს, ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისა და პოლიტიკური გამოწრთობის საქმეს.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით კომუნისტების შეიარაღებისადმი, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აღზრდისადმი უდიდესი ყურადღებისა და ზრუნვის ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვება. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომელიც 11 წლის წინათ გამოვიდა, უძვირფასესი განძია მეცნიერული კომუნისტის იდეურ საუნჯეში. იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიაა. „მოკლე კურსის“ სახით ჩვენმა პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა მიიღეს პარტიის ისტორიისა და თეორიის გენიალური სახელმძღვანელო.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მეცნიერული სიზუსტით გადმოგვცემს, თუ რა დიადი და სახელოვანი გზა განვლო ბოლშევიკურმა პარტიამ. იგი მოგვითხრობს ლენინისა და სტალინის ტიტანურ მუშაობაზე, რაც მათ გასწიეს ახალი ტიპის პარტიის, რევოლუციური, ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის, პარტიისა, რომელიც გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ მძაფრ და შეუპოვარ ბრძოლებში. „მოკლე კურსი“ წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის მეცნიერულ განზოგადებას.

ბოლშევიკების პარტია იმიტომ იმარჯვებდა და იმარჯვებს, რომ იგი შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით, რომელმაც თავისი შემდგომი განვითარება პოვა ამხანაგ სტალინის გენიალურ ქმნილებაში — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“. საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისტორია მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფია. ლენინ-სტალინის მოძღვრების სიდიადე და უძლეველობა, მისი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი ძალა დადასტურებულია სოციალიზმის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში, იგი ახალ დადასტურებას პოულობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა ბრძოლაში სოციალიზმისათვის, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა გვამდიდრებს სოციალიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების ბრძოლების გამოცდილებით, გვეხმარება რევოლუციური სიფხიზლის ამაღლებაში, ბოლშევიზმის დაუფლებაში, გვაიარაღებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა ცოდნით, გვინერგავს ლენინ-სტალინის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების ღრმა რწმენას.

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა კიდევ უფრო გააძლიერონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, უფრო ენერგიულად დაეხმაროონ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, ჩვენს კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში.

ახორციელებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს და ეწევიან კომუნისტების პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით ჩვენი კადრების შეიარაღებისათვის. ამის საუკეთესო დადასტურებაა გასული სასწავლო წლის შედეგები პარტიული განათლების ქსელში. გასულ სასწავლო წელს თვალსაჩინოდ გაფართოვდა პოლიტგანათლების ქსელი. როგორც პოლიტწრეებსა და სკოლებში ჩაბმული, ისე წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები მეტი მონდომებით მეცადინეობდნენ, გაძლიერდა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების კონტროლი და დახმარება პოლიტიკურ სწავლებაში ჩაბმული ამხანაგებისადმი, დიდი დახმარება ეწეოდა პროპაგანდისტებს. პოლიტსკოლების გამოშვებამ და წრეებსა და სემინარებში ჩატარებულმა შემაჯამებელმა მეცადინეობებმა გვიჩვენეს პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

დღეს ქალაქად, ხოლო 15 ოქტომბრიდან სოფლად იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს ახალ სასწავლო წელს მეცადინეობის ნაყოფიერად წარმართვისათვის. კიდევ უფრო ორგანიზებულად, ვიდრე გასულ წელს, ჩატარდა პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტება მსმენელთა საერთო განათლებისა და სურვილის გათვალისწინებით, პროპაგანდისტებად შერჩეული არიან თეორიულად მომზადებული, პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების მქონე, ამ საქმისადმი სიყვარულით გამსჭვალული ამხანაგები, მოეწყო პროპაგანდისტთა მრმზადება და გადამზადება. დიდი ყურადღება ეთმობა იმ ამხანაგებისადმი დახმარებას, რომლებიც დამოუკიდებლად ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, მათთვის გამოყოფილია კონსულტანტები, ეწყობა ლექციები და თეორიული კონფერენციები. პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან შექმნილია ხელმძღვანელ მუშაკთა სემინარები, მუშაობენ პარტიული სკოლები, ძსობით კომუნისტი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში, რომლებიც შექმნილია პარტიის თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტებთან.

მართალია, პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი მაინც არ არის გადამწყვეტი. მთავარი და გადამწყვეტია თვით მეცადინეობის პრაქტიკულად ჩატარება, მისი ხარისხიანად მოწყობა, კომუნისტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალის ღრმად შესწავლა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა მუშაობდნენ კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საკითხებზე, ამოწმებდნენ მეცადინეობის მიმდინარეობას პოლიტსკოლებსა და წრეებში, აყენებდნენ საკითხებს პარტიულ კრებებსა და ბიუროებზე მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ, სახავდნენ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

პროპაგანდისტი ცენტრალური ფიგურაა პოლიტსწავლების საქმეში. რაიონული და საქალაქო კომიტეტები მუდმივ დახმარებას უნდა უწევდნენ პროპაგანდისტებს თავიანთ მუშაობაში. ასეთი დახმარების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სემინარები, რომლებშიც უნდა ჩავაბათ ყველა პროპაგანდისტი და რომელთა მუშაობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. სემინარებზე პროპაგანდისტებმა უნდა მოისმინონ არა მარტო კარგი ლექციები, არამედ მიიღონ აგრეთვე მეთოდური რჩევა-დარიგება პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობის უკეთ ჩატარებისათვის. ამასთანავე პროპაგანდისტებისათვის სისტემატურად უნდა მოვაწყოთ ლექციები პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, საერთაშორისო მდგომარეობისა და სხვა საინტერესო საკითხებზე.

მთელი ჩვენი ქვეყანა კომუნისტური მშენებლობის პათოსით არის გამსჭვალული. საბჭოთა ხალხი შეუნელებლად იბრძვის მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, თავდადებით იბრძვის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მას ამ ბრძოლაში გზას უნათებს და ძალას მატებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრება. კიდევ უფრო გაძლიერეროთ მუშაობა ჩვენი კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და უძლეველი თეორიით შეიარაღებისათვის!

„სახვევი კონვეიერი“

ტომსკი. (საკდესი). ელექტრომოტორის გაკეთებაში ყველაზე შრომატევად პროცესად სტატორის გრაგნილი მიიჩნევდა. მისი მექანიზაციის ამოცანა წარმატებით გადაწყვიტეს ტომსკის ელექტრომოტორის ქარხნის ინჟინრებმა ამხ. ნ. პ. კრონბერგმა, ნ. ა. ბიკოვმა და მ. გ. ლოტკინმა. მათი წინადადებით ქარხანაში პირველად დაიდგა ეგრეთ წოდებული „სახვევი კონვეიერი“.

ნოვატორთა გაბედული აზრი სავსებით დადასტურდა ახლა ტომსკის ელექტრომოტორის ქარხანაში. თითქმის ყველა ტიპის სტატორთა დამზადება გადაყვანილია „სახვევ კონვეიერზე“. ამან ერთისამად და მეტად დააჩქარა მათი დამზადების დრო და ბევრად შეამცირა მასალის ღირებულება.

ტომსკელ მოტორმშენებელთა ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება მოწონებულ იქნა ელექტრომრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირზე და რეკომენდებულია ჩვენი ქვეყნის სხვა ქარხნებში დასანერგავად.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

შრომითი აღმავლობა ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ფაბრიკა-ქარხნები თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. აბრეშუმკომბინატის საპენიაჟო წარმოებამ სექტემბრის პირველი ნახევრის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, ხოლო ბამბის სართავმა ფაბრიკამ — 113 პროცენტით. სტახანოველებმა ვ. კახაძეი, ნ. ბუხაიძემ, ნ. მოდებაძემ, ბ. მაქსიმოვმა და სხვებმა საწარმოო დავალებანი ორმაგად შეასრულეს.

სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ბათუმელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, სექტემბრის პირველი ნახევრის გეგმა 108 პროცენტით გაანაღდა. საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი 13 ბრიგადიდან განსაკუთრებით ისახელეს თავი ვ. ზვიადაძის, ქ. ასათიანის და ც. ყიფიანის ბრიგადებმა.

სექტემბერში თვალსაჩინოდ დაწინაურდა „საქნავთბარიტის“ ქუთაისის სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა. ამჟამად კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა.

საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ასევე ენერგიულად იბრძვიან ლიტოპონის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, სამრეწველო კომბინატისა და რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივები.

აფხაზეთის საფერმენტაციო ქარხნებში

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის მეთამბაქოეები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს გეგმის ვადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.800 ტონა ხარისხოვანი თამბაქო. ახლა გაძლიერებული ტემპით წარმოებს თამბაქოს ნედლეულის დამზადება და ფერმენტაცია. „აფხაზთამბაქონედლეულის“ დამამზადებელი პუნქტები განუწყვეტლივ ღებულ ბაშრობილ თამბაქოს, ხოლო საფერმენტაციო ქარხნები ახდენენ მის ფერმენტირებას.

სეზონს მომზადებული შეხვდა გაგრის რაიონის სოფელ განთიადის საფერმენტაციო ქარხანა. ქარხანა ყოველ ციკლში 32 ტონით მეტ თამბაქოს გადაამუშავებს, ვიდრე გასულ სეზონში. დადაზგა-დანადგარების რეკონსტრუქციის შემდეგ 20 ტონით გადიდდა აგრეთვე გუდაუთის საფერმენტაციო ქარხნის კამერების მოცულობა.

გალისა და ოჩამჩირის რაიონების მეთამბაქოე კოლმეურნეობები ყოველდღიურად ასობით ტონა თამბაქოს გზავნიან ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში. ქარხანამ მარტო სექტემბერში, ნაცვლად 60 ტონისა უკვე გადაამუშავა 79 ტონა თამბაქო და თვიური გეგმა 10 დღით ადრე 131,7 პროცენტით შეასრულა. ქარხნის კოლექტივი ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანასთან.

ლითონს ხით ცვლიან

ლენინგრადი. (საკდესი). ფაბრიკა „ოქტიაბრსკაია“ სართავ საამქროში ერთ-ერთი საფთილავი მანქანის მუშობა ოსტატებისა და ინჟინრების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ერთი კერის წინათ 800-ზე მეტი კოჭის, თითისტარისა და საგრეხი ლითონის ცხილნა შეცვლილ იქნა ძთლიანად წნეხილ ხის პლასტიკური მასის ცილინდრით. მათ შემცირეს მანქანის ხმაური, შეამცირეს მტვრითა და ზეთით ნართის გაჭუჭყიანების შესაძლებლობა, რითაც გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

ახალი მასალა მიიღო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ინჟინერმა ი. ე. სემენოვმა ჩვეულებრივი ხის ნაფოტებისაგან.

ხის პლასტიკური მასის ნაწარმს მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აქვს. მთელ რიგ შემთხვევებში ეს ხდის მათ არა მარტო ლითონის სრულფასოვან შემცვლელად, არამედ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს უკანასკნელთან შედარებით.

დაწნეხის მეთოდით ახალი მასალისაგან დეტალების გაკეთების ტექნოლოგიური პროცესი გამორიცხავს მექანიკურ დამუშავებას და მეორე—მესამე კლასის სიზუსტეს აძლევს ნაწარმს. ეს დეტალები ამცირებენ მანქანის წონას, აადვილებენ მონტაჟს, მნიშვნელოვნად ამცირებენ ელექტროენერგიისა და საცხები მასალის მოხმარებას, უმჯობესებენ მოწყობილობის მუშაობის ხარისხს.

მთლიანად წნეხილი დეტალები გაცილებით უფრო ეკონომიურია, ვიდრე ლითონისა და პლასტმასის ნაწარმი, რომელსაც მრეწველობაში იყენებენ. ამ ნაწარმის ღირებულება მასობრივად დამზადების დროს შეადგენს წყვილფასიანური თუჯის სხმულის ღირებულების 50-60 პროცენტს.

უკვე დამზადებული და გამოცდილია მოსამარ-თავი მაქრების, მარბენელების, საკისართა სამაგრების და საფეიქრო მანქანების ხის პლასტიკური მასის სხვა დეტალების ნიმუშები.

ბედნიერი ხალხის დიადი შემოქმედება

ხალხთა თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე

სურათზე: 1. ონის რაიონის კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდის წევრები ძმები ესტატე და ზაქარია ერაძეები სტვირზე ამღერებენ, 2. მახარაძის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, 3. ცეკვა „ყაზბეგური“ — ასრულებს ყაზბეგის რაიონულ კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გაჩირაღდნებული სცენიდან მოისმის საამური მელოდიები, ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე შედევრები, წარმტაცი მუსიკის ხმა.

— სიმღერა ბელადზე!

ყველა გუნდი, ყველა შემსრულებელი მღერის სიმღერას დიდ სტალინზე. საქართველოს ყველა კუთხიდან—მზიური აფხაზეთიდან და აჭარიდან, თვალწარმტაცი გურიიდან, ამაყი ხევიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ბარაქიანი კახეთიდან, იმერეთიდან და სამეგრელოდან, განახლებული მესხეთიდან, სვანეთიდან და რაჭიდან. უმღერიან მშრომელნი ხალხთა ბელადს, ჩვენს დიად სამშობლოს, საბჭოთა არმიას, ბედნიერ ცხოვრებას.

— სიმღერა ბერიაზე!

აი გაისმა ფანდურის საამური ხმა. თბილისის რაიონის სოფელ მარტყოფის სასოფლო კლუბთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა მშვენივრად შეასრულა საუცხო ხალხური სიმღერა ლავრენტი ბერიაზე.

სცენაზეა ახმეტის რაიონის კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდი გ. პაპალაშვილის ხელმძღვანელობით. გუნდს კარგად დაუმუშავებია ძველი კახური სიმღერები. მათ განსაკუთრებული ოსტატობითა და ხელოვნებით შეასრულეს „ნუ გიყორს ქალაო“ და „კახური მრავალჟამიერი“. მაყურებელთა ხანგრძლივი ტაში დაიმსახურა კოლმეურნე პოეტმა ს. ჩანგაშვილმა, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსი „მოხუცი მწყემსი ვარ“.

ყვარლის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა ოსტატურად შეასრულა დარბაისლური კახური სიმღერები „მრავალჟამიერ“, „შარმაზანო“ და „ბელადის აზრი წინ გვიძღვის“. კარგი იყო „სიცეკვეო“, რომელიც უენო სალამურზე შეასრულეს შაქრო და ვანო მირიანაშვილებმა. მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია კოლმეურნე ი. ბერიაშვილის საკუთარმა ლექსმა „საქართველომ“.

ოლიმპიადაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ჩონგური, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს ხალხური ინსტრუმენტი ყველასათვის საყვარელ საკრავად გადაქცეა საქართველოში. იგი ფანდურთან ერთად გახდა შემოქმედებით ინსტრუმენტად, რომელზეც ხალხი თხზავს ახალი ცხოვრების ამსახველ მელოდიებს. მაყურებლებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩოხატაურის რაიონული კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდის მიერ ჩონგურის თანხლებით შესრულებულმა სიმღერამ სიმონა დოლიძეზე. ასეთივე წარმატება ხვდა მელოდიებს, რომლებიც ჩონგურთან ერთად შეასრულეს ოჩამჩირის, გუდაუთისა და გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა დუშეთის კულტურის სახლთან არსებულმა ფშავ-ხევსურ-თუშეთელთა თვითმოქმედმა კოლექტივმა, რომელმაც შეასრულა სიმღერები „საით მიდიხარ ფშაველო“, „ფშაური სატრფიალო“, „მეცხვარე“ და ცეკვები „მასობრივი მთიულური“, „ფარიკაობა“ და სხვა.

კარგი იყო ქვემო სვანეთის რაიონის კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდი გ. მეშველიანის ხელმძღვანელობით. გუნდმა წარმატებით შეასრულა „სიმღერა სტალინზე“, „სანადირო ფერხული“ და მასობრივი ცეკვა „ცერული“.

ოლიმპიადაზე მთელი საქართველოა წარმოდგენილი, აი ახლეტელი მამაგელაშვილი. იგი იწყებს კახურ მრავალჟამიერს, „ფშაურ სატრფიალოს“ მღერის მარო ბოძაშვილი, კახურ ხალხურ სიმღერას მღერიან ყვარელელი ჯამასპაშვილი და ფხოველაშვილი, გურულ შვიდკაცას ასრულებს ვ. ბერძენიშვილი, ჭუნირზე დამკვრელი მეშველიანი ღიღინებს სიმღერას სტალინზე, აფხაზი კოლმეურნეები ასრულებენ სიმღერას სოციალისტური შრომის გმირ თემურ თარბას რგოლზე... სცენიდან ისმის დინჯი და მელოდიური კახური, მკვირცხლი და ხალისიანი გურული კრიმანჭული, აფხაზური, სვანური, მეგრული, რაჭული სიმღერები.

30 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ხალხური თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს და მაყურებელთა სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს თბილისის, თეთრი წყაროს, ვანის, ახმეტის, დუშეთის, ყვარლის, ჩოხატაურის, ქვემო სვანეთის რაიონების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, აფხაზეთის ახს რესპუბლიკის ოჩამჩირის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სოციალისტური შრომის გმირის გ. არძინბას ხელმძღვანელობით და გალის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

ოლიმპიადაზე ყოველ ახალ სიმღერაში მკაფიოდ გამოსჭვიოდა ჩვენი დიადი სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი ბელადის ამბანაგ სტალინისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული. დაუვიწყარი მოტივები, ხალხის გულიდან ამონათქვამი სიმღერები, მკვირცხლი ცეკვები, ხალხური მუსიკა ერთმანეთს სცვლიან მშრომელთა თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადაზე.

• • •

სურათზე: 1. ონის რაიონის კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდის წევრები ძმები ესტატე და ზაქარია ერაძეები სტვირზე ამღერებენ, 2. მახარაძის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, 3. ცეკვა „ყაზბეგური“ — ასრულებს ყაზბეგის რაიონულ კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

„სუპერ-ბოლშევიკ“ ბ. ბ. ბეგიშევ-ბეგიშევ-ბეგიშევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიზმის მძლავრი იდეური იარაღი

(„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის მე-11 წლისთავის გამო)

თერთმეტი წლის წინათ გამოვიდა ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ეს იყო უდიდესი მოვლენა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის იდეურ ცხოვრებაში. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გადათარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, გამოცემულია მილიონობით ცალად, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იდეურ იარაღს მშრომელთა ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ამხანაგი სტალინი აყალიბებს პარტიის ისტორიას მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების განვითარების ბაზაზე და მხედველობაში აქვს პარტიული კადრების აღზრდა, პირველ რიგში, მარქსიზმ-ლენინიზმის **იდეებზე**. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება აქ მოცემულია ისტორიული ფაქტების საფუძველზე. ისტორიული ფაქტებით უკეთესად, ბუნებრივად და გასაგებად შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების ცხადყოფა. თვით საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისწორე და ცხოველუნარიანობა შემოწმებულია პრაქტიკით, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების გამოცდილებით.

ამხანაგმა სტალინმა შექმნა საკავშირო კ. პ. (ბ) თეორიისა და ისტორიის შესანიშნავი სახელმძღვანელო, რომელშიც ორგანიულად შერწყმულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემადგენელი ნაწილები და ზუსტი მეცნიერულობითა და ურყევი ლოგიკით ნაჩვენებია კავშირი ამ მოძღვრებასა და პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის პოლიტიკას შორის. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ნაჩვენებია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების ერთიანობა, მთლიანობა და მემკვიდრეობითობა, ნაჩვენებია ის ახალი რამ, რაც ლენინმა და სტალინმა მარქსისტულ თეორიაში შეიტანეს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე. ამხანაგმა სტალინმა უმაგალითო ძალითა და სიღრმით დაგვანახვა მარქსიზმ-ლენინიზმის საბრძოლო შემოქმედებითი, ქმედითი ხასიათი.

* * *

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ აშუქებს საკავშირო კ. პ. (ბ) მრავალი წლის სახელოვან გზას პირველი მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან ბოლშევიკების დიად პარტიამდე, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია არის ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რუსეთის მუშებისა და გლეხების ბრძოლის ისტორია, რუსეთის სამი რევოლუციის ისტორია, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორია. ბოლშევიკურმა პარტიამ თავისი გმირული ისტორიის მანძილზე შეიძინა ბრძოლის უდიდესი გამოცდილება, რომლის ბადალიც არა ჰქონია და არა აქვს არც ერთ პარტიას მსოფლიოში. ამხანაგმა სტალინმა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სინათლით გაამუქა ეს მრავალი წლის გამოცდილება, გვიჩვენა, თუ როგორ აღწევდნენ ბოლშევიკები კლასობრივი ბრძოლის უძნელეს პირობებში დიდ ისტორიულ გამარჯვებებს.

ამხანაგი სტალინი მუშათა მოძრაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით გვიჩვენებს, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება „შეუძლებელია ისე, თუ არ არსებობს პროლეტარიატის რევოლუციური პარტია, რომელიც თავისუფალია ოპორტუნიზმისაგან, შეურიგებელია შემთანხმებლებისა და კაპიტულანტების მიმართ, რევოლუციურია ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 459). ასეთი პარტია არ შეიძლება იყოს დასავლეთ ევროპის ტიპის ჩვეულებრივი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც აღზრდილია სამოქალაქო მშვიდობის პირობებში და რომელსაც ეშინია სოციალური რევოლუციისა. ახალმა პერიოდმა, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების პერიოდმა, დააყენა საკითხი ახალი ტიპის პარტიის, საბრძოლო რევოლუციური პარტიის შექმნის შესახებ, რომელიც საკმაოდ გამედიანებული იქნებოდა ამ ამოცანის ასასრულებლად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

რუსი მენშევიკები მუდამ სარგებლობდნენ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატთა არსენალიდან აღებული იარაღით. მათ სურდათ რუსეთში შეექმნათ ისეთივე ოპორტუნისტული პარტია, როგორიც იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ან საფრანგეთის სოციალისტური პარტია, როგორიც არიან თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტური პარტიები. ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ ასეთ პარტიებს არ შესწევთ უნარი მუშათა კლასი წაიყვანონ რევოლუციის მოსახდენად. ბოლშევიკებმა შექმნეს ნამდვილი მარქსისტული პარტია, სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დარაზმული, მონოლითური პარტია. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკები მტკიცედ და შეუპოვრად ამზადებდნენ ასეთ პარტიას ჯერ კიდევ ძველი „ისკრის“ დროიდან. ეკონომისტების, მენშევიკების, ტროცკისტების, ბუხარინელების, ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი ისტორია იყო ახალი ტიპის პარტიის, ლენინიზმის პარტიის მომზადების, შექმნისა და განმტკიცების ისტორია.

ამხანაგმა სტალინმა ლენინთან ერთად შექმნა ჩვენი პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, ლენინთან ერთად იდეურად აიარაღებდა ბოლშევიკებს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ყველა ეტაპზე და პარტია გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა. ხოლო როცა ლენინი გარდაიცვალა, მისი საქმის დიდმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა მაღლა აღმართა და წინ წაიღო დიდებით მოსილი ლენინიზმის დროშა და მუდამ ამდიდრებს კომუნიზმის იდეურ საგანძურს ახალი დებულებებით სოციალისტური მშენებლობისა და მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ახალი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს, თუ რა ღრმად და ყოველმხრივ ავითარებს ამხანაგი სტალინი ლენინის მოძღვრებას და რა ძალითა და სიმტკიცით ახორციელებს მას.

* * *

ბოლშევიკური პარტიის ძალა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ თავის მუშაობაში იგი ხელმძღვანელობს მოწინავე მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რომელიც პარტიას შესაძლებლობას ანიჭებს სწორად გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს მოვლენათა შინაგანი კავშირი და განჭვრიტოს მათი განვითარების მსვლელობა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია გაყინული ფორმულებისა და დოგმატების კრებული როდია. „მარქსისტულ-ლენინური თეორია,—ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ, მეცნიერება მუშათა მოძრაობის შესახებ, მეცნიერება პროლეტარული რევოლუციის შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. იგი როგორც მეცნიერება, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ერთ ადგილზე,—იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 462).

ლენინისა და სტალინის სახელთან დაკავშირებულია ახალი ეპოქა მარქსიზმის განვითარებაში. ლენინმა და სტალინმა მარქსიზმი გაამდიდრეს ახალი გამოცდილებით, მისი ცალკე დებულებანი და დასკვნები შეცვალეს ახალი დასკვნებითა და დებულებებით ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ამხანაგი სტალინი გენიალურად ამუშავებს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საკითხებს. იგი ზღვრული სიცხადითა და სხარტი ფორმით აყალიბებს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლებს და, განაზოგადებს რა ბოლშევიზმის გიგანტურ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას და მეცნიერების უახლეს მონაცემებს, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია აჰყავს ახალ, უმაღლეს საფეხურზე. ი. ბ. სტალინის ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური აზრის მწვერვალია.

ამ ნაშრომში ამხანაგი სტალინი ცხადყოფს, რომ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიის თეორიულ საფუძველს, რომ ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელებას საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. პარტია ხელმძღვანელობს საზოგადოების განვითარების კანონებით. იგი თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების აუცილებლობას და არასოდეს არ სწყდება რეალურ ცხოვრებას. თეორიისა და პრაქტიკის კავშირი პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია.

ამხანაგი სტალინი აყალიბებს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის უმნიშვნელოვანეს თეორიულ დებულებებს და ცხადყოფს, თუ რა დასკვნები გამომდინარეობს აქედან პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. განვითარების ყოველგვარი პროცესის შინაარსი არის ბრძოლა იმას შორის, რაც კვდება და თავისი დრო მოუჭამია, და იმ ახალს შორის, რაც იბადება და სიცოცხლეს იმკვიდრებს ძველის წინააღმდეგ შეუურიგებელ ბრძოლაში. აქედან გამომდინარეობს ამხანაგ სტალინის უცილობელი დასკვნა:

„თუ სამყარო განუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარებაშია, თუ ძველის კვდომა და ახლის ზრდა წარმოადგენს განვითარების კანონს, მაშინ ცხადია, რომ აღარ არიან „ურყევი“ საზოგადოებრივი წესები, კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის „მარადიული პრინციპები“, მემამულეებისადმი გლეხების, კაპიტალისტებისადმი მუშების დამორჩილების „მარადიული იდეები“.

მაშასადამე, კაპიტალისტური წყობილება შეიძლება შეცვლილ იქნას სოციალისტური წყობილებით, ისევე, როგორც კაპიტალისტურმა წყობილებამ შესცვალა თავის დროზე ფეოდალური წყობილება“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 141-142).

მაგრამ განვითარების პროცესი ზრდის უბრალო პროცესი როდია. განვითარების კანონს წარმოადგენს ნელი რაოდენობრივი ცვლილებების გადასვლა სწრაფ და უეცარ თვისობრივ ცვლილებებში. აქედან გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება განხორციელებულ იქნას არა რეფორმების გზით, არამედ კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური შეცვლის გზით. „მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, რევოლუციონერი უნდა იყო და არა რეფორმისტი“, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 142).

ამხანაგი სტალინი პროლეტარიატის რევოლუციურ პარტიებს ასწავლის — კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობანი კი არ მიჩქმალონ, არამედ გამოააშკარაონ, კლასობრივი ბრძოლა კი არ ჩააქრონ, არამედ ბოლომდე მიიყვანონ. მაშინ, როცა ყველა ჯურისა და ელფერის ოპორტუნისტები, კერძოდ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები, ქადაგებენ კლასობრივი მშვიდობის პოლიტიკას, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ჰარმონიის პოლიტიკას, ახორციელებენ შემთანხმებლურ პოლიტიკას, კომუნისტური პარტიები ეშვიეან შეურიგებელ კლასობრივ პროლეტარულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისაკენ.

* * *

ამხანაგმა სტალინმა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ცხადყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა და შემდგომ განავითარა იგი.

ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, რომ ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს მოგვცა ახალი მიზანდასახულობა ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციების ურთიერთობის საკითხში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორია. ლენინმა და სტალინმა დაამსხვრიეს დამპალი ანტიპროლეტარული მიზანდასახულობანი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც ჩინურ კედელს აშენებდნენ ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის და უარყოფდნენ გლეხობის რევოლუციურ შესაძლებლობებს. ლენინმა და სტალინმა განავითარეს მარქსისტული მოძღვრება პროლეტარიატის ისტორიული როლის შესახებ, შეიმუშავეს საკითხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, მუშებისა და გლეხების რევოლუციური კავშირის შესახებ. ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს მწყობრი სისტემა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასებისადმი პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა არა მარტო ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობის საქმეში, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის დროს სოციალისტური მშენებლობის საქმეშიც.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიის თანახმად „ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონია პროლეტარიატისა და გლეხობის **კავშირის პირობით** უნდა გადაზრდილიყო პროლეტარიატის ჰეგემონიად სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატისა და დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების **კავშირის პირობით**, ხოლო პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურას უნდა მოემზადებინა ნიადაგი პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურისათვის“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 98). რუსეთის რევოლუციის მთელმა გამოცდილებამ დაადასტურა ამ ლენინურ-სტალინური დებულების სისწორე.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდნენ ბოლშევიკები პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლის გამოცდილება თვალნათლივ მოწმობს, რომ გზა სოციალიზმისაკენ პროლეტარიატის დიქტატურაზე გადის, რომ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შესუსტება გარდუვალად იწვევს სოციალისტური რევოლუციის დამარცხებას. ამიტომაც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტები, ხელმძღვანელობენ რა ლენინისა და სტალინის იდეებით, ეყრდნობიან რა ჩვენი ქვეყნის გამოცდილებას, ყოველმხრივ განამტკიცებენ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს, ხედავენ რა ამაში სოციალიზმის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს პირობას.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონიდან გამომდინარეობს ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის ფრონტის მის სუსტ რგოლში გარღვევის შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ, თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო ამ ლენინური მოძღვრების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და ყოველმხრივ დაამუშავა იგი. ლენინურ-სტალინურმა მოძღვრებამ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ გაამდიდრა მარქსიზმი, რევოლუციური პერსპექტივით შეაიარაღა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარები, გასაქანი მისცა მათს ინიციატივას თავიანთი ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევის საქმეში და განუმტკიცა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების რწმენა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას. ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ განავითარა ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოების შესახებ. ამხანაგმა სტალინმა შექმნა მთლიანი, დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. სტალინის გენიამ სახალხო დემოკრატიის რეჟიმში აღმოაჩინა პროლეტარიატის დიქტატურის ნაირსახეობა.

არკვევდა რა 1918-1920 წლების საშოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდში საბჭოთა არმიის გამარჯვების წყაროებს, ამხანაგი სტალინი წერდა: „წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის გულისთვისაც წითელი არმია ომობდა, იყო სწორი, ხალხის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა, რომ ხალხს შეგნებული ჰქონდა და ესმოდა ეს პოლიტიკა, როგორც სწორი, როგორც თავისი საკუთარი პოლიტიკა, და ბოლომდე მხარს უჭერდა მას“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 317).

საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ახალი ძალით დაადასტურა საბჭოთა წყობილების, როგორც მსოფლიოში ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მყარი წყობილების სტალინური დახასიათება.

* * *

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ამხანაგმა სტალინმა თეორიულად განაზოგადა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, განავითარა და გაამდიდრა ლენინური მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, გზების შესახებ. ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა, თუ რა სიმწვავით დადგა აღდგენითი პერიოდის დასასრულს საკითხი ჩვენი განვითარების, ჩვენი მშენებლობის პერსპექტივების ხასიათის შესახებ, საკითხი საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ბედის შესახებ. პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მაშინ მძაფრი ბრძოლა დაიწყო ტროცკისტებისა და სხვა გამცემლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ კაპიტალიზმის გზაზე გადაეყვანათ ჩვენი ქვეყანა. ამხანაგმა სტალინმა ლენინის მოძღვრების დაცვითა და განვითარებით გვიჩვენა, რომ ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, რომ ამ ამოცანის შესრულება უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით.

ლენინის მითითებებზე დაყრდნობით, ი. ბ. სტალინმა ყოველმხრივ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია და პროგრამა. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მკაფიოდ გვიჩვენებს, უდიდეს სიძნელეთა დაძლევით, ტროცკისტ-ბუხარინელ გამცემთა განადგურებით, თუ როგორ მიაღწია პარტიამ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გადაექცია მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ.

ამხანაგი სტალინი იძლევა იმ ისტორიული ძვრების კლასიკურ დახასიათებას, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის ძლევამოსილი განხორციელების შედეგად. „ეს იყო, — წერს ი. ბ. სტალინი,—უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 396).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბოლშევიკების პარტიის ბრძოლის სტალინური ანალიზი, რაც მოცემულია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, აღფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლაში, განამტკიცებს ჩვენი საქმის საბოლოო გამარჯვებისადმი რწმენას.

ამხანაგ სტალინის დებულებებს სოციალისტური მშენებლობის გზების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის. ისინი მომმე კომუნისტურ პარტიებს აიარაღებენ გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებათა და კლასობრივი ბრძოლის ხასიათის გაგებით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზების, ქალაქსა და სოფელში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის გზების გაგებით.

* * *

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ თვალნათლივ გვიჩვენებს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის ბრძოლის ყველა ეტაპზე — ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში, სამხედრო ინტერვენციისა და საშოქალაქო ომის წლებში, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში. ი. ბ. სტალინი არკვევს პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის მინაგანი განვითარების კანონებს, მკაფიოდ და ნათლად აყალიბებს მისი ბრძოლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობებს. ბოლშევიკების პარტია ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას მშრომელი მასების წინაშე, პროლეტარული რევოლუციისა და ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ისტორიულ როლს, იმიტომ რომ იგი ზუსტად ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის მოძღვრებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია გვასწავლის, რომ მხოლოდ ახალი ტიპის პარტიას, რომელიც ოპორტუნისტებისა და შემთანხმებლებისადმი შეურიგებელია, ბუნებრივია მოიპოვოს გამარჯვება. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია გვასწავლის, რომ პროლეტარიატის პარტიას შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს თავისი ამოცანები, თუ იგი დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და დაუღალავად ავითარებს მას. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია გვასწავლის, რომ თუ არ გავანადგურეთ წარილბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც ძირს უთხრიან მუშათა კლასის ერთიანობას, შეუძლებელია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია გვასწავლის, რომ თუ კომუნისტური პარტია თავის რიგებში შეურიგებელ ბრძოლას არ ეწევა ოპორტუნისტებისა და კაპიტულანტების წინააღმდეგ, იგი ვერ შეინარჩუნებს მთლიანობასა და დისციპლინას. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია გვასწავლის, რომ კომუნისტური პარტია თავის როლს ვერ შეასრულებს, თუ დაიწყო ყოყოჩობა და შეუშინდა კრიტიკასა და თვითკრიტიკას. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია გვასწავლის, რომ კომუნისტური პარტია ვერ მიაღწევს თავის მიზანს მუშათა კლასთან და მთელ მშრომელ მასებთან კავშირის მუდმივად განმტკიცებისა და გაფართოების გარეშე.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკური პარტიის ისტორია არის წვრილბურჟუაზიული პარტიების — ესერების, მენშევიკების, ანარქისტების, ნაციონალისტების და მუშათა პარტიის შიგნით მათი ნამოლარების: ტროცკისტების, ბუხარინელების, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვა გამცემთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი განადგურების ისტორია. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ისინი ყველანი იბრძოდნენ კაპიტალიზმის შენარჩუნების, ხოლო შემდეგ კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის, დაეშვნენ კონტრრევოლუციის ჭაობში და გადაიქცნენ ჯაშუშებისა და სამშობლოს მოღალატეების ბანდად. საკავშირო კ. პ. (ბ) იზრდებოდა, მტკიცდებოდა და იწრთობოდა ყველა მტრული პარტიისა და ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინიზმის ყველა მტრის განადგურებამ უზრუნველყო პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკური პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის ნამდვილი ინტერნაციონალური პარტიის ნიმუშს. ბოლშევიკები დაუღალავად იბრძოდნენ ნაციონალისტური ჯგუფებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა თავის რიგებში გააერთიანეს რუსეთის ყველა ეროვნების მოწინავე მუშები და წაიყვანეს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი საერთო მტრის — ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველი მსოფლიო ომის წლებში, როცა სოციალისტური პარტიების ლიდერებმა უღალატეს პროლეტარიატს და გადავიდნენ სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე, იმპერიალისტური ბურჟუაზიის დაცვის პოზიციებზე, ბოლშევიკების პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელმაც ღირსეულად გადაიტანა განსაცდელი და ბოლომდე დარჩა სოციალიზმის საქმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგული.

ბოლშევიკებმა, რომლებიც ახორციელებდნენ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ფართოდ გაიჩაღეს ბრძოლა ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი შეაკავშირეს ერთიან, მრავალერიან სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც აგებულია თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის საწყისებზე. ამ ძმურ კავშირში დიდმა რუსმა ხალხმა როგორც ხელმძღვანელმა ძალამ საერთო აღიარება დაიმსახურა.

ჩვენს ქვეყანაში დამყარებული ხალხთა მტკიცე სტალინური მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დაუშრეტელი წყარო გახდა.

„რომ არ გაგვენადგურებინა ყველა და ყოველგვარი ჯურის ნაციონალ-უკლონისტები, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ჩვენ ვერ აღვზრდიდით ხალხს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვერ დავიცავდით სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის დროშას, ვერ ავაშენებდით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 468).

ბოლშევიკების პარტიამ მიაღწია ლენინიზმის ყველა მტრის სრულ განადგურებას. საბჭოთა ქვეყანაში ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები. მაგრამ გრძელდება ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნამთების წინააღმდეგ. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მოგვიწოდებს პოლიტიკური სიფხიზლისაკენ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვადასხვა გამოვლინებისადმი შეურიგებლობისაკენ, მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ეს წიგნი გვასწავლის მაღლა გვეჭიროს ბოლშევიკური პარტიულობის დროშა, ვიცავდეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვასწავლის დაუღალავად განვამტკიცოთ ჩვენი რიგები, დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმს, გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაძლიეროთ ჩვენი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, რათა უფრო ჩქარა ვიაროთ ჩვენი საბოლოო მიზნის — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ განამტკიცებს ჩვენს რწმენას ლენინ-სტალინის დიადი საქმის, კომუნიზმის საქმის საბოლოო გამარჯვებისადმი.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ საზღვარგარეთელ კომუნისტურ პარტიებს ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიპოვონ გამარჯვება ბურჟუაზიაზე, როგორ უნდა წაიყვანონ სოციალიზმის მშენებლობის საქმე თავიანთ ქვეყნებში. ეყრდნობიან რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილ გამოცდილებას, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს წარმატებით მიჰყავთ სოციალიზმისაკენ თავიანთი ქვეყნების მშრომელი მასები.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობდნენ იმპერიალისტები ყოველი ღონითა და საშუალებით აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წესწყობილება და ამ მიზნისათვის იყენებდნენ ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფებს. ტროცკისტები, ბუხარინელები და მათი მსგავსი გამცემლები იმპერიალისტური დაზვერვების აგენტებს წარმოადგენდნენ. ტროცკისტები

კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება უმნიშვნელოვანესი ამოცანა

★ ★ ★

კომუნისტებისა და კომკავშირელების მაღალი იდეური დონისათვის

საბჭოთა ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც ლენინ-სტალინის პარტია წარმატებით წყვეტს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიად ამოცანებს, კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სოციალისტური შეგნებულობის ამაღლება, რევოლუციური თეორიის დაუფლება საბჭოთა ადამიანებს აძლევს მომავლის ნათელ პერსპექტივას, მატებს ძალსა და ენერგიას დიადი მიზნის მიღწევისათვის—კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ბოლშევიკურმა პარტიამ კომუნისტებსა და უპარტიო ბოლშევიკებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას ყოველგვარი პირობა შეუქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის უმდიდრესი იდეური საგანძურის დაუფლებისათვის. ჩვენს ხელთ არის ლენინის და სტალინის თხზულებათა ახალი გამოცემები, ბიოგრაფიები, ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სხვა მთელი რიგი ნაწარმოები.

გასულ სასწავლო წელს ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული განათლების საქმეში მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია. ეს ნათლად გამომჟღავნდა შემაჯამებელი მუშაობის ჩატარების დროს. მიღწევებთან ერთად იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც, იყო წრეებისა და პოლიტსკოლების ნაწილის არასწორი დაკომპლექტებისა და არასათანადო მომზადებისა და გამოცდილების მქონე პროპაგანდისტების და კონსულტანტების დამტკიცების შემთხვევები, არასაპატიო მიზეზით კომუნისტთა საგრძნობი ნაწილის ჩაუბმელობა პარტიულ სწავლებაში.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მიმდინარეობდა გასულ სასწავლო წელს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ყველა ზომა იქნა მიღებული იმისათვის, რომ არ განმეორებულიყო შარშანდელი შეცდომები.

ახალი სასწავლო წლის მოსამზადებლად რაიკომმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა ზაფხულის თვეებში დიდი მუშაობა გასწიეს. ჯერ კიდევ ივნისში რაიონულმა კომიტეტმა შეაჯამა 1948-49 სასწავლო წლის შედეგები პარტიული განათლების ქსელში და დასახა ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლის მოსამზადებლად.

რა პირობებში ვიწყებთ მეცადინეობას?

მთლიანად დაკომპლექტებულია წრეები და პოლიტსკოლები. დღეს მუშაობას შეუდგება 102 წრე და პოლიტსკოლა (ძველის ჩათვლით), რომლებშიც გაერთიანებულია 1.843 მსმენელი. პარტიული სწავლების სხვა ფორმებში (მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, საღამოს პარტიული სკოლა, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი და სხვა) გაერთიანებულია 1.100 კომუნისტი. ამრიგად, სულ პარტიულ სწავლებაში ჩაბმულია 2.915 კომუნისტი. პარტიული აქტივიდან შერჩეულია და რაიკომის ბიუროზე დამტკიცებულია 110 პროპაგანდისტი და 70 კონსულტანტი. თვითეულ საკონსულტაციო ჯგუფში გაერთიანებულია 5-8 კომუნისტი.

გარდა კომუნისტებისა, წრეებსა და პოლიტსკოლებში გაერთიანებული არიან ორასამდე კომკავშირელი და უპარტიო.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწყობილ პროპაგანდისტთა სამთვიან კურსებზე 1 აგვისტოდან სწავლობს 51 პროპაგანდისტი, რომლებიც უხელმძღვანელებენ პარტიულ და კომკავშირულ წრეებსა და პოლიტსკოლებს.

პარტიის რაიკომთან აგვისტოდან მუშაობს პროპაგანდისტთა სემინარები, მათ შორის: პარტიის ისტორიის და ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის (პირველი წლის პროგრამით რუსულ და ქართულ ენაზე) 2 სემინარი, პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის (სწავლების მეორე წლის პროგრამით) — 2, პოლიტსკოლების პროპაგანდისტებისათვის — 2 სემინარი, რაიკომთან ჩამოყალიბებულია და მუშაობს აგრეთვე სემინარი კონსულტანტებისათვის ქართულ ენაზე.

ამ სემინარებმა გეგმის თანახმად, სასწავლო წლის დაწყებისათვის უკვე დაამთავრეს პირველი ორი თემის შესწავლა და ამით შეასრულეს ის მოთხოვნა, რომლის თანახმად სემინარის მუშაობა წინ უნდა უსწრებდეს წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობას.

წელს განსაკუთრებით გავაძლიერეთ დახმარება და ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. მთავარ ამოცანად იქნა დასახული ის, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა 1949-50 სასწავლო წელი გადააქციონ პოლიტიკური განათლების ხარისხის სერიოზული გაუმჯობესების წლად, მიაღწიონ ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანებას პოლიტიკური და ზოგადი განათლების სხვადასხვა ფორმაში.

მომდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში პარტიის რაიკომმა შეარჩია და ბიუროზე დაამტკიცა კომკავშირული პოლიტქსელისათვის 46 პროპაგანდისტი, მათ შორის 33 კომუნისტი და 13 კომკავშირელი. კომკავშირის ხაზით დაკომპლექტებულია 46 წრე და პოლიტსკოლა. მათ შორის პარტიის ისტორიის შემსწავლელი 2 წრე 31 მსმენელით, 22 პოლიტსკოლა 362 მსმენელით, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 3 წრე 64 მსმენელით, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა და კომკავშირის წესდების შემსწავლელი 19 წრე 272 მსმენელით. ამრიგად, 46 წრესა და პოლიტსკოლაში გაერთიანებულია 587 კომკავშირელი და 142 ახალგაზრდა, ხოლო დამოუკიდებლად ისწავლის 65 კომკავშირელი.

კომკავშირული წრეებისა და პოლიტსკოლების პროპაგანდისტები გაერთიანებული არიან იმ სემინარებში, რომლებიც მუშაობენ პარტიის რაიკომთან, ხოლო საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების და კომკავშირის წესდების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის სემინარი რუსულ და ქართულ ენაზე მუშაობს კომკავშირის რაიკომთან.

ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული კაბინეტის მუშაობა საგრძნობლად არის გაფართოებული. წელს პირველად პარტკაბინეტთან შექმნილია კარგად მოწყობილი სამკითხველო დარბაზი. აქ მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ ჟურნალ-გაზეთებით, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, სქემებით, დიაგრამებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით. პარტკაბინეტში, დამოუკიდებელი მუშაობის ოთახში გამოფენილია ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოდოკუმენტები, დიდი სამამულო ომის ილუსტრაციები და სხვა. აქვე მოწყობილია პროპაგანდის ოთახი, რომელიც თეორიულ და მეთოდურ დახმარებას გაუწევს პროპაგანდისტებს მათს მუშაობაში. აქ ახალი სასწავლო გეგმების მიხედვით წრეებსა, პოლიტსკოლებსა და სემინარებში მორიგი თემების გავლასთან დაკავშირებით სპეციალურ ვიტრინებში სისტემატურად გამოფენილია თეორიული და მეთოდური ხასიათის ლიტერატურა სათანადო ბიბლიოგრაფიით.

პარტკაბინეტთან მოწყობილია აგრეთვე კომკავშირული ოთახი, რომელიც სერიოზულად დაეხმარება პროპაგანდისტებს და კომკავშირის აქტივს იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში.

პარტიული განათლების ქსელის მუშაობის მაღალი ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია პროპაგანდისტთა კადრებზე, მათს თეორიულ მომზადებასა და დახელოვნებაზე. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ რაიკომთან არსებულ პროპაგანდისტების მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობას.

სისტემატურ და კვალიფიციურ დახმარებას აღმოვუჩენთ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. რეგულარულად მოვაწყობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციას, თეორიულ გაანალიზებას, სემინარულ მუშაობას, რეფერატების კითხვასა და მათს განხილვას.

საჭიროა მთელი ახალი სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოთ ლექციების ციკლის კითხვა პარტიის ისტორიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, პოლიტიკურ ეკონომიაში, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

მთელი სასწავლო წლის მანძილზე შეუსუსტებლად ვიმუშავებთ კომუნისტების, უპარტიო ბოლშევიკების, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ი. ჩოჩია

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკაბინეტში ყოველდღიურად შეხვდებით კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესასწავლად. სურათზე (მარცხნიდან): ა. ქევანიშვილი, ნ. ბერძენი, თ. ქოჯაია, თ. ზვიადაძე და მ. ციციშვილი მეცადინეობენ პარტკაბინეტში. ფოტო რ. აკოფოვისა

ნელს უკეთესად ვიმუშავებ

პროპაგანდისტად მუშაობა პირველად შარშან დავიწყე. ჩარკვიანის სახელობის ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ წრეს ვხელმძღვანელობდი. ბევრი დაბრკოლების გადალახვა მომიხდა. ვიცოდი, რომ საუბრისათვის მარტო კარგად მომზადება, კონსპექტის გულდასმით შედგენა არ კმაროდა. საჭირო იყო თვითეული მსმენელის მომზადების დონისა და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება, ჩამორჩენილთათვის მეტი კონკრეტული დახმარების გაწევა.

მართალია, მეცადინეობის დამთავრებისას გამოსაუბრებას ვაწყობდით, ამხანაგურ დისკუსიებს ვმართავდით, მაგრამ ცალკეული ამხანაგები მაინც ჩამორჩებოდნენ. გადავწყვიტე ასეთ ამხანაგებთან დამატებით მემუშავნა. ამან კარგი შედეგი გამოიღო. ამგვარად გამოსწორდნენ და დაწინაურდნენ მ. ქორთუა, ტ. ჩილაჩავა და სხვ.

პროპაგანდისტი მარტო წრეში მუშაობით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. პარტიული ორგანიზაციის მდივანთან ერთად ის ლექცია-მოხსენებებსა და კონსულტაციებზე მსმენელთა დასწრების ორგანიზატორიც უნდა იყოს. ვზრუნავდი ამ მიმართულებითაც. ამხანაგები უკლებლივ ესწრებოდნენ რაიკომის მიერ მოწყობილ ციკლურ ლექციებს, რომლებიც დანიშნული იყო ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შემსწავლელთათვის, დადიოდნენ პარტკაბინეტში, კითხულობდნენ დამხმარე ლიტერატურას.

მალე ჩვენი წრე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. მსმენელებს გავლილ მასალაზე საფუძვლიანად შეეძლოთ ესაუბრათ, რუკები, დიაგრამები და ალბომები გამოეყენებინათ, მხატვრული ლიტერატურით ესარგებლათ. სასწავლო წლის ბოლოსათვის წრეში გაერთიანებული 14 მსმენელიდან ჩამორჩენილი არავინ ყოფილა. მომზადების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ ამხანაგები ო. ჭანტურია, ვ. თოდუა, ა. დგებუაძე და გ. ბერიშვილი.

ახალი სასწავლო წლისათვის გულდასმით მოვემზადე: ზაფხულის პერიოდში გადავიკითხე დამხმარე ლიტერატურა. მაქვს კონსპექტები. დავესწარი პარტკაბინეტის მიერ პროპაგანდისტებისათვის მოწყობილ სამდღიან მეთოდ-სემინარს, რაც მუშაობაში საჭირო დახმარებას გამიწევს.

გასულ წელს მუშაობაში მქონდა ზოგიერთი ნაკლი. მცირე დრო როდი დამჭირდა იმისათვის, რომ მსმენელები უკლებლივ დასწრებოდნენ მეცადინეობას. ცალკეულ შემთხვევებში წრის მოწინავე მსმენელები რიგგარეშე მეცადინეობისათვის ამზადებდნენ ამათუიმ საკითხზე მოხსენებებს, მაგალითად, ო. ჭანტურიამ მოამზადა მოხსენება ი. ბ. სტალინის ნაშრომზე „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, ვ. თოდუამ — „პასუხად სოციალ-დემოკრატს“, გ. ბერიშვილმა — „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, ვ. ხუხუამ ლ. პ. ბერიას წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ პირველ თავზე, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. წრეში, რომლის პროპაგანდისტადაც მე ვმუშაობ, შესაძლებელია არა მარტო რიგგარეშე მოხსენებების მოწყობა, არამედ თეორიული კონფერენციების ჩატარებაც, რაც მეტ შედეგს მოიტანს, ამხანაგების მეტ რაოდენობას ჩააბამს მუშაობაში.

პროპაგანდისტის პირველი რიგის ამოცანაა რაც შეიძლება მეტად იზრუნოს მსმენელებში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დასანერგავად. პარტკაბინეტიც უკეთესად უნდა დაგვეხმაროს კონსულტაციებით, მოგვამარაგოს საჭირო ლიტერატურით.

ახალ სასწავლო წელს უკეთესად ვიმუშავებ. შარშანდელი გამოცდილების გამოყენებით ახალ წარმატებებს მივაღწევ პროპაგანდისტულ მუშაობაში.

ხ. ძირია

პროპაგანდისტი

მთელი ჩემი ენერგიით

იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. მეცადინეობის ორგანიზებული დაწყება, რამაც საფუძველი უნდა მოამზადოს პროპაგანდისტული მუშაობის მაღალხარისხოვნად წარმართვისათვის, პარტორგანიზაციების, პროპაგანდისტებისა და წრის მსმენელების უპირველესი ამოცანაა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გასული წლიდან მეცადინეობს. მუშაობის გამოცდილება და ახალი ამოცანები მავალებს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდო იმ დიდ საქმეს, რომელიც მაკისრია, მთელ შესაძლებლობას გამოვიყენებ იმისათვის, რომ მსმენელებმა საფუძველიანად შეისწავლონ პროგრამით გათვალისწინებული მასალები.

ამ დღეებში პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ერთხელ კიდევ შევამოწმე მსმენელთა მზადყოფნა მეცადინეობის დაწყებისათვის, გამოვამჟღავნე მუშაობის ხელშემშლელი მიზეზები, მსმენელებს მივეცი საჭირო ახსნა-განმარტება მათთვის საინტერესო საკითხებზე, განვუმარტე წიგნზე მუშაობისა და კონსპექტის შედგენის ხერხები.

წინასწარ შევადგინე კონსპექტი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა იმ ნაშრომებზე, რომლებზეც მომიხდება საუბრის ჩატარება მეცადინეობის პირველ პერიოდში.

გასული სასწავლო წლის მუშაობის შეჯამებისას იმ წრის მსმენელებმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გამომამჟღავნეს განვლილი მასალის შეთვისების მაღალი დონე, მისწრაფება —უფრო ბეჯითად იმუშაონ შემდგომში. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მათ ამ მისწრაფებას თეორიის დაუფლებისადმი ხორცი შეესხას. სისტემატურად ვიმუშავებ საკუთარი თეორიული ცოდნის განუწყვეტელი სრულყოფისათვის.

მე კარგად მესმის ჩემი, როგორც პროპაგანდისტის, მოვალეობა. ამ მოვალეობის შეგნებით დავიწყებ დღეს მუშაობას.

ა. მგრალიძე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებული „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი

პირველად პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების სემინარი

ახმეტა. (საკ. კორ.). პარტიის ახმეტის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები შემდეგ საკითხებზე: „ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა“, „კომუნისტების პოლიტიკური სწავლება და პარტორგანიზაციების ამოცანები“, „პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი“, „კედლის გაზეთების მუშაობის ორგანიზაცია“, „პარტიული მეურნეობა“ და სხვ.

დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები მომზადებულად ხვდებიან სასწავლო წელს

დღეს იწყება მეცადინეობა ქ. თბილისის პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში.

დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლა, რასაც საბჭოთა ხალხი პრაქტიკულად ახორციელებს, პარტიული კადრების წინაშე სამეურნეო, პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის მეტად რთულ ამოცანებს აყენებს. გასული სასწავლო წლის მანძილზე და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში თბილისის პარტორგანიზაციებმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს კომუნისტების იდეურ-თეორიული აღზრდისა და პოლიტიკური გამოწრთობის საქმის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

გასული სასწავლო წელი პარტიული განათლების ყველა ფორმის ერთიან ორგანიზებულ სისტემად ჩამოყალიბებით ხასიათდება. ამაღლდა პარტიული ორგანოების მხრივ კომუნისტების პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის ხარისხი, გაიზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობა და მისწრაფება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიის დაუფლებისაკენ, მკვეთრად გადიდდა პოლიტიკური სწავლების ცალკეულ ფორმებში გაერთიანებულ კომუნისტთა რიცხვი.

გასულ სასწავლო წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს პარტიული პროპაგანდის ხარისხის, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების დარგში, რაც ახალი სასწავლო წლის კიდევ უფრო წარმატებით ჩატარების საწინდარია.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას თბილისის პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის დასასრულს შეუდგნენ. რაიონული კომიტეტების პლენუმებმა და აქტივის კრებებმა დაწვრილებით განიხილეს გასული სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანები.

სასწავლო წლის ბოლოს პარტიული აქტივის ფართო მონაწილეობით ჩატარებულმა შემაჯამებელმა მეცადინეობამ და თეორიულმა გასაუბრებებმა საშუალება მოგვცეს დაწვრილებითი წარმოდგენა გვქონოდა თვითეული კომუნისტის მომზადების დონის შესახებ.

გასული წლის შედეგების შეჯამებასთან ერთად იმთავითვე დაიწყო მუშაობა იმის განსასაზღვრავად, თუ მომავალი წლისათვის პოლიტიკური განათლების რომელ ფორმაში უფრო მიზანშეწონილია ამა თუ იმ კომუნისტის გაერთიანება. ეს მასალები საფუძვლად დაედო პარტიული განათლების სისტემის სწორად დაკომპლექტებას, ამ დარგში გასულ წელს დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

სასწავლო წლისათვის ნამდვილი მზადყოფნის აუცილებელი პირობაა პარტიული განათლების მთელი ქსელის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტული კადრებით.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ერთხელ კიდევ გადაინიჯა პროპაგანდისტთა შემადგენლობა, და ნაწილი პროპაგანდისტებისა, რომელთაც გასულ წელს თავი ვერ გაართვეს ამ დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანას, განთავისუფლებულ იქნა ამ დავალებისაგან. ამავე დროს პარტიული განათლების ქსელის მოსალოდნელი გაფართოების, აგრეთვე კომკავშირის პოლიტგანათლების მზარდი ქსელის პროპაგანდისტებით უზრუნველყოფის ამოცანების გათვალისწინებით პროპაგანდისტულ სამუშაოზე ახლად წამოყენებულ იქნა 291 კომუნისტი. ამჟამად ქალაქის პარტორგანიზაციებში პოლიტსკოლებისა და წრეების ხელმძღვანელთა რაოდენობა 940-ს აღწევს.

პროპაგანდისტული კადრების თეორიული გამოწრთობის და მეთოდური დახელოვნების მნიშვნელოვანი სკოლა განვლო ზაფხულის პერიოდში 300-ზე მეტმა პროპაგანდისტმა, რომლებიც პარტიის თბილისის კომიტეტთან ჩამოყალიბებულ პროპაგანდისტთა მოსამზადებელ 3-თვიან კურსებზე სწავლობდნენ. მათ შორის 60 ამხანაგი ამ წელს პირველად დაიწყებს პროპაგანდისტულ მუშაობას.

აგვისტოს მეორე ნახევარში პარტიის რაიონულ კომიტეტებთან მეცადინეობა დაიწყეს პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედმა სემინარებმა. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრეების და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთა სემინარები შეიქმნა ქართულ და რუსულ ენებზე, ცალკე ახლად შექმნილი წრეებისათვის და ცალკე იმ წრეებისათვის, რომლებიც განაგრძობენ მეცადინეობას სწავლების მეორე წლის პროგრამით.

კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტები გაერთიანებული არიან პარტიის რაიკომებთან არსებულ სათანადო სემინარებში, ხოლო— სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა და საკავშირო ალკკ წესდების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის პარტიის რაიკომებთან ცალკე სემინარია ჩამოყალიბებული.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა“ და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა სემინარი ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტთან იმუშავებს. საქალაქო პარტკაბინეტი აწყობს აგრეთვე ყველა ტიპის სემინარების ხელმძღვანელთა ინსტრუქტაჟს კვალიფიციურ ლექტორთა ძალებით.

პროპაგანდისტთა სემინარებმა უკვე 4-5 მეცადინეობა ჩაატარეს. მათ შეისწავლეს მომავალი მეცადინეობისთვის გათვალისწინებული 2-3 თემა, მეთოდიკის საკითხები.

პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობაში ამთავითვე სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მეთოდიკის სწავლებას. სამწუხაროდ, პარტიის ლენინის რაიკომთან არსებულ სემინარებში პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკის არსებითი, საკვანძო საკითხების სწავლებას ჯერ არც კი შესდგომიან. ეს სერიოზული ნაკლია, და მისი გამოსწორებისათვის ახლავე საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

გასულ წელს ორჯონიკიძის და სტალინის რაიკომებთან არსებულ პროპაგანდისტთა სემინარებში პროპაგანდისტებს დახმარებას უწევდნენ არა მარტო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის შეთვისებაში; აქ პროპაგანდისტები ისმენდნენ სპეციალურ კვალიფიციურ ლექციებს თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე. გარდა ამისა, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და გავრცელების მიზნით ეწყობოდა სემინარის ხელმძღვანელისა და პროპაგანდისტთა დასწრება ცალკეული წრეების მეცადინეობაზე, საუბრის სტენოგრაფიერება და სხვ.

არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს პროპაგანდისტთა ისეთი მრავალრიცხოვანი რაზმი, როგორიც არიან შტატგარეშე კონსულტანტები. სწორად მოიქცნენ კიროვისა და მოლოტოვის რაიკომები, რომლებმაც შტატგარეშე კონსულტანტებისათვის მოაწყეს სპეციალური სემინარები.

დღეისათვის ქალაქის პარტორგანიზაციების პარტიული განათლების სისტემა შემდეგ სურათს იძლევა:

172 პოლიტსკოლაში გაერთიანებულია 3.617 კაცი, აქედან 3.090 კომუნისტი. მკვეთრად გაიზარდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების რაოდენობა, რაც ასახავს კომუნისტებისა და უპარტიო მასის მზარდ მისწრაფებას ბოლშევიკური პარტიის ბელადებისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების დიადი ბრძოლისა და მოძღვრების ღრმად ძესწავლისაკენ. ასეთი ტიპის 239 წრეში გაერთიანებულია 4.605 კომუნისტი და უპარტიო ამხანაგი. გასულ წელთან შედარებით გადიდდა აგრეთვე პარტიის ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრეების საერთო რაოდენობა.

2.000-ზე მეტი კაცი პარტიული და საბჭოთა აქტივიდან და ქალაქის ინტელიგენციიდან აღრმავებს თეორიულ ცოდნას საღამოს რაიონულ პარტიულ სკოლებში და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში.

16.700 ამხანაგი წელს განაგრძობს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას. გასული წლის გამოცდილებით დადასტურდა, რომ ნაწილი იმ ამხანაგებისა, რომლებმაც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გაიცხადეს, სწავლების ამ ფორმისთვის ჯერ კიდევ სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა. ასეთი ამხანაგები წელს გაერთიანდნენ წრეებში, უმთავრესად პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეებში.

პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების მიზნით გამოყოფილია 1.190 შტატგარეშე კონსულტანტი. გარდა ამისა, თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგების მნიშვნელოვანი ნაწილი თეორიულ და მეთოდურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას მიიღებს აქტივისათვის ჩამოყალიბებული სხვადასხვა ტიპის სემინარებში.

პარტიული განათლების ეს ფართო სისტემა ძირითადად უზრუნველყოფილია ყველაფრით, რაც აუცილებელია სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის: ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოებებით, სასწავლო გეგმებით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო მასალებით, რეფერატებით, ჟურნალებით, სათანადო სათავსოებით, განათებით, გათბობით და სხვ. ამოცანა ის არის, რომ ნაყოფიერად გამოვიყენოთ პოლიტიკური სწავლების სანიმუშოდ დაყენებისათვის შექმნილი შესაძლებლობანი.

მეტად სერიოზული ამოცანები დგას პარტკაბინეტების წინაშე. ისინი მოწოდებული არიან სისტემატური თეორიული და მეთოდური დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტულ კადრებს, მოაწყონ წრის ხელმძღვანელთა და კონსულტანტთა დადებითი გამოცდილების განზოგადება.

გასულ სასწავლო წელს თბილისის პარტორგანიზაციებში რაიკომების მომხსენებელთა ჯგუფებისა და თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ძალებით მოეწყო 5.000-ზე მეტი ლექცია და მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკურ ეკონომიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე. ეს ცოტა როდია. მაგრამ გასულ სასწავლო წელს ამ საქმეში ნაკლიც იყო: ლექციები და მოხსენებები ხშირად ტარდებოდა ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა ინდივიდუალური მუშაობის გეგმების გაუთვალისწინებლად. სუსტი იყო კონტროლი ლექციებისა და მოხსენებების ხარისხისადმი.

მიმდინარე სასწავლო წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა და პირველ რიგში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ლექციებისა და მოხსენებების იდეური შინაარსის გაუმჯობესებას, მათი ხარისხის ამაღლებას.

უკვე დაგეგმილია და 1 ოქტომბრიდან დაიწყება ლექციების ციკლების კითხვა ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტსა და რაიკომების პარტკაბინეტებში ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. საქალაქო პარტკაბინეტში ჩატარდება ლექციების სპეციალური ციკლები — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე. ლექციათა ეს ციკლი დიდ დახმარებას გაუწევს პროპაგანდისტულ კადრებსა და პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეებს.

თბილისის პარტიული ორგანიზაციები დღეს შევიდნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდიდან მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი ღრმა დაუფლებისათვის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის პერიოდში. ახლა მთავარია განვამტკიცოთ სასწავლო წლისათვის მოსამზადებელ პერიოდში მიღწეული წარმატებანი. არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მითითება იმის შესახებ, რომ „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხზე, ვინაიდან მთელი ჩვენი წინსვლა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებით პარტიული კადრების შეიარაღების ხარისხზე“.

ვ. მელქაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

გამოხმაურება საკდესის 25 სექტემბრის ცნობაზე

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 28 სექტემბერი. (საკდესი). მთელი უნგრეთის საზოგადოებრიობა კვლავ მთავარ ყურადღებას აქცევს საკდესის 25 სექტემბრის ცნობას.

უნგრული პრესა აღნიშნავს, რომ ამ ცნობამ უაღრესად ფართო გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

როგორც დღის გაზეთი „

ში უიშაგი" საკდესის ცნობისადმი მიძღვნილ სტატიაში წერს, საბჭოთა კავშირი თავიდანვე ამის მომხრე იყო, რომ ატომის ენერგიის წარმოება გამოყენებულ იქნას მეცნიერების, აღმშენებლობისა და პროგრესისათვის და არა მასობრივი მკვლელობისა და ნგრევის მიზნით.

საბჭოთა კავშირი, წერს შემდეგ გაზეთი, ახლაც უცვლელად იდგას თავის თვალსაზრისს. საბჭოთა კავშირი კვლავ მტკიცედ მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას. სსრ კავშირი, რომელიც მეცნიერების დარგში თავისი მნიშვნელოვანი მიღწევებით სათავეში უდგას პროგრესულ კაცობრიობას, ახლაც ხელმძღვანელობს მშვიდობის, შემოქმედებითი შრომის, ხალხთა ურთიერთგაგების სულისკვეთებით და ცდილობს ხელი შეუშალოს ახალი ომის გაჩაღებას. მთელი თავისი მოქმედებით — ყოველი თავისი ნაბიჯით და ყოველი თავისი სიტყვით საბჭოთა კავშირი გამოდის საიდუმლო დიპლომატიის წინააღმდეგ, იმ საიდუმლოებათა წინააღმდეგ, რომელთა საშუალებით მცირე ეგოისტურ ხროვებს სურთ იბატონონ მთელ ერებზე. ატომის ენერგიის აღმოჩენა მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია; რა საჭიროა, რომ მეცნიერების მიღწევები მკვლელობის საშუალებად გადაიქცეს?!

მაშინ როცა საერთაშორისო კაპიტალი, წერს დასასრულ გაზეთი, ხმამაღლა გამოაცხადა საშინელი მუქარა, საბჭოთა კავშირი განაგრძობს თავის შემოქმედებით მუშაობას, თავის შემოქმედებით შრომას და ამ შრომის სამსახურში ჩაყენა მეცნიერების ახალი მიღწევები, რომლებისგანაც იმპერიალისტებს სურდათ გამოეჭედთ ახალი იარაღი სხვა ხალხების დასაჩაგრავად. მათ სურდათ ეს, მაგრამ ახლა იძულებული არიან აღიარონ, რომ მათი მისწრაფება ამაოა.

გაზეთი „მადიარ ნაპი" აღნიშნავს, რომ საკდესის ცნობამ დაბნეულობა გამოიწვია იმპერიალისტთა ბანაკის რიგებში, ხოლო სიხარულისა და შვების გრძნობა—მშვიდობის ბანაკის რიგებში.

პოლონეთი

ვარშავა, 28 სექტემბერი. (საკდესი). პოლონური გაზეთები კვლავ უკეთებენ კომენტარს საკდესის 25 სექტემბრის ცნობას და მას უკავშირებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ი. ვიშინსკის გამოსვლას.

თავის განცხადებაში „ატომური აფეთქების" შესახებ, წერს გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა", პრეზიდენტი ტრუმენი ამტკიცებს, რომ არსებითად არასოდეს არ ყოფილა ვარაუდი, რომ შეიძლებოდა ატომური ბომბის მონოპოლიის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნება. მაგრამ განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ ამერიკელ მეცნიერებს არ ეგონათ, რომ რუსეთი შეძლებდა ატომური ბომბის აღმოჩენას 1952 წლამდე. ამერიკელი სპეციალისტები ალბათ ვარაუდობდნენ, რომ ატომური ბომბის წარმოების უდიდესი ღირებულება (ამერიკის პირველი ბომბი 2 მილიარდი დოლარი დაჯდა), ომით მიყენებული ნგრევა, აგრეთვე, მათი აზრით, არასაკმაო მეცნიერული და ტექნიკური დონე შეუძლებელს გახდიდნენ აღნიშნულ დრომდე საბჭოთა კავშირში ატომური ბომბის წარმოებას.

მაგრამ ამერიკელი სტრატეგების ძირითადი შეცდომაც სწორედ ეს არის. თავის ვარაუდებში ისინი სსრ კავშირს განიხილავდნენ, როგორც კაპიტალისტურ სახელმწიფოს, რომლის განვითარებაც თითქოს მიდის ისეთი გზებით, რომელთა გაგებაც ადვილია კაპიტალისტური მსოფლხედველობის მქონე ადამიანებისათვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სსრ კავშირმა, მიუხედავად უდიდესი ლონისძიებებისა დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენის დარგში, შეძლო გამოეხახა ატომური იარაღის წარმოების სამუშაოთა ნაყოფიერად და მალე დამთავრებისათვის საჭირო სახსრები. ამერიკელი სპეციალისტების შორსმჭვრეტელობის უნარი, არსებითად, მეტად შეზღუდული აღმოჩნდა, ეს შეცდომა საეჭვის ხდის მათს ვარაუდებს სხვა დარგებშიც.

ცნობა, რომ სსრ კავშირს უკვე 1947 წელს ჰქონდა ატომური იარაღი, წერს გაზეთი, უფრო მეტი ძალით ცხადყოფს საბჭოთა პოლიტიკის რეალისტურობასა და ჰუმანურობას. სსრ კავშირი მოითხოვდა ატომური ბომბის მოსპობას, როცა მას ჰქონდა ეს იარაღი.

სსრ კავშირის პოზიციის საფუძველი იყო ატომური იარაღის — ცივილიზაციის არსებობისათვის ამ საფრთხის მოსპობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, წერს დასასრულ გაზეთი, რომ სსრ კავშირის პოზიცია მთელი ამ ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე ძლიერი იყო. სსრ კავშირის სიმშვიდე გამომდინარეობდა საბჭოთა პოლიტიკის ძირითადი ხაზიდან, რომელიც განისაზღვრება მშვიდობისადმი მტკიცე მისწრაფებით.

გაზეთი „კურიერ ვოძენი" მოწინავე სტატიაში სათაურით „ატომური დიპლომატიის დასასრული", წერს, რომ პრესის, საზოგადოებრივი აზრისა და ოფიციალური პირების კილო ანგლო-საქსურ ქვეყნებში ამჟამად ბევრად განსხვავდება იმ კილოსაგან, რომელიც დღემდე გაბატონებული იყო იქ. ეს როდი უნდა გვიკვირდეს. უკანასკნელმა ამბებმა ლახვარი ჩასცა ტრუმენის დიპლომატიის საფუძვლებს, რომლის მთავარი არგუმენტი ატომური ბომბი იყო. ამ ბომბით იმუქრებოდნენ ყოველგვარი შემთხვევის დროს და ცდილობდნენ შანტაჟისთვისაც გამოეყენებინათ იგი.

ახლა, განაგრძობს გაზეთი, ატომის მონოპოლიის არგუმენტი აღარ არსებობს. ტრუმენის დიპლომატიამ გამოიყენა თავისი ყველაზე ძლიერი იარაღი და ახლა უიარაღო აღმოჩნდა. მშვიდობის ინიციატივა, უეჭველია, კვლავ საბჭოთა კავშირის ხელშია. საბჭოთა კავშირს არაფერში არ სურს შეცვალოს თავისი პოზიცია ატომური ბომბის მიმართ, ვინაიდან საბჭოთა კავშირისათვის არაფერი არ შეცვლილა.. ისევე, როგორც წინათ, იგი ცდილობს აიკრძალოს ატომური ბომბის წარმოება და დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ატომის ენერგიისადმი.

წინანდელ პერიოდთან შედარებით განსხვავება მხოლოდ ერთია, ხაზგასმით აღინიშნავს გაზეთი, განუსაზღვრელად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის პოზიციები.

მშვიდობის შანსები გადიდდა, წერს დასასრულ გაზეთი, გაიზარდნენ ძალები მშვიდობის ბანაკისა და საბჭოთა კავშირისა, რომელიც მათ ხელმძღვანელობს...

ამრიგად, ატომური იარაღი სოციალისტური სახელმწიფოს ხელში, რომელსაც სწყურია ომისაგან დაიცვას მსოფლიო, საბჭოთა კავშირის ხელში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად წარმოადგენს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

რუმინეთი

ბუქარესტი, 28 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „უნივერსული" კომენტარს უკეთებს საკდესის 25 სექტემბრის ცნობას და წერს: „ატომური შანტაჟის იარაღიდან, რასაც ატომური იარაღი იმპერიალისტების ხელში წარმოადგენდა, იგივე იარაღი მშვიდობის ბანაკის ხელშია, ნაღთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის ნამდვილი გარანტია გახდა, მაშინ, როცა ამერიკის ზოგიერთი წრეები შეაშფოთა სსრ კავშირში მომზადარმა ატომურმა აფეთქებამ, საკდესის საგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სსრ კავშირს ატომური იარაღი უკვე 1947 წლიდან აქვს. ის ფაქტი, რომ საბჭოთა წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კვლავ მტკიცედ მოითხოვენ აუცილებლად აიკრძალოს ატომური იარაღი, კიდევ ერთი მძლავრი ლახვარი იყო ომის გამჩაღებელთათვის. ხუთეულასავით ჩაიფუშა ყველა „საბუთი", რომლითაც ინგლის-ამერიკის აგრესიული წრეები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხები, თითქოს ომის საფრთხე საბჭოთა კავშირისაგან მომდინარეობს. როგორ შეიძლება ეს საფრთხე „მომდინარეობდეს იმ ქვეყნისაგან, რომელიც ასე ძლიერია და რომელსაც ატომური იარაღი აქვს, როცა ინგლის-ამერიკის საქმოსნები მრავალი წელია აღვიძებენ ომის ისტერიას, ხოლო ამ ქვეყანას ყოველთვის შეაქვს წინადადებანი, რომლებიც მიმართულია ომისაკენ, რომ კაცობრიობას ჩაუნერგოს რწმენა, თავისი ძალებისადმი და უხრუწველყოს მასი უშიშროება? ეს საქმე იმდენად აშკარაა, რამდენადაც ნათელია სოციალიზმის ქვეყნის, როგორც მშვიდობის ბასტიონის, როლი, რომ საგანგებო ბუნებრიდან ის უსაზღვრო ნდობა, რომლითაც მსოფლიოს ყველა ხალხი ამ ქვეყანას უყურებს. ამ ხალხებს კარგად აქვთ შეგნებული, თუ რა 'დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას ქვეყანა, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღიდანვე იმდიდრებისათვის იბრძოდა, ქვეყანა, რომელიც მშვიდობისადმი ისეთმა ეი არ ისწრაფვიან, რომ სუსტია, არამედ ისეთმა, რომ იცის — კაცობრიობას მშვიდობა ესაჭიროება თავისი შემოქმედებითი შრომისათვის".

ბუქარესტი, 29 სექტემბერი. (საკდესი). ბუქარესტის, ბრაშოვის, ბრაილის, ტიმიშოარისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქების ფაბრიკებსა და ქარხნებში კვლავ იმართება მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო 'დღის მოწყობისა და საკდესის 25 სექტემბრის ცნობისადმი მიძღვნილი მიტინგები.

ბუქარესტის ორთქლმავალსარემონტო სახელოსნოებში გამართულ მიტინგზე მუშა იონ პოპამ თქვა, რომ ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები დღემდე ფიქრობდნენ, ატომური იარაღის საიდუმლოება მხოლოდ ჩვენ ვიცითო, მაგრამ ამიერიდან, თქვა იონ პოპამ, მათ აღარ შეუძლიათ გამოიყენონ ეს საფრთხობელა. დღეს მშვიდობის ბანაკი ომის გამჩაღებელთა წინაშე დგას უძლიერეს ძალად, რომელიც მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფს მთელ მსოფლიოში.

მიტინგზე გამოვიდა მეჩერალი ბრესლაშუ, რომელმაც განაცხადა: „სულთან და გულთან ბრძოლებით 'და მხარს ვუჭერთ კონკრეტულ წინადადებებს მშვიდობის განმტკიცების შესახებ, რომლებიც ვიშინსკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა".

ჰოლანდია

ჰაგა, 28 სექტემბერი. (საკდესი). ჰოლანდიის გაზეთები კვლავ უკეთებენ კომენტარს საკდესის 25 სექტემბრის ცნობას. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „დე ფოლსკრანტი" 'და „ჰეტ ფრეიე ფოლკი" აცხადებენ, რომ პეტერა დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ატომური ბომბის წარმოებისადმი, ხოლო ამავე დროს ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი ხელს უშლის ასეთი კონტროლის დაწესებას.

გაზეთი „ჰეტ პაროლი" კომენტარს უკეთებს საკდესის ცნობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა რუსეთი არ აპირებს გამოიყენოს ატომური ბომბი მუქარის საშუალებად".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება, რათა მიღწეულ იქნას საერთაშორისო შეთანხმება ატომური ბომბის აკრძალვის შესახებ.

მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის წინ

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 28 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობის დაცვის მომავალ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობის სრულიად უნგრეთის საბჭომ უნგრელ ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მშვიდობის დაცვის საერთაშორისო დღეს — 2 ოქტომბერს უნგრელი ხალხი აქვნება იმათ პირველ რიგებში, ვინც ფიცს დადებს, რომ მზად არის დაიცვას მშვიდობა. უნგრელი ხალხი კვლავ დადებს ფიცს — შეინარჩუნოს კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლის დიდ ხელმძღვანელთან საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და მეგობრულად იცხოვროს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან.

უნგრელი ხალხი, ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, 2 ოქტომბრის დღეს აღნიშნავს იმის შეგნებით, რომ მან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. „შეთქმულთა ჯაშუშური ბანდა, რომელიც, უმსახურებდა რა ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებსა და მათს ლაქიას ტიტოს, ხელყოფდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მხილებულია და საკადრის სასჯელს მიიღებს. ამით, აღნიშნულია მოწოდებაში, უნგრეთის სახალხო დემოკრატიამ არა მარტო გაუუფნებლა ჩვენი მშვიდობისმოყვარე ხალხის ყველაზე საშიში მტრები, არამედ სამსახურიც გაუწია მშვიდობის მთელ საერთაშორისო ფრონტს.

მშვიდობის დიდი საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, ნათქვამია დასასრულ მოწოდებაში, ჩვენ აღთქმას 'დადებთ უფრო მეტი ერთიანებით დავიცვათ მშვიდობა, უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენში გზავნიან ჯაშუშებსა და დაქირაულებულ მკვლელებს. ჩვენ აღთქმას დავდებთ უფრო კეთილსინდისიერად და ბეჯითად ვიმუშაოთ, რათა ჩვენი შრომით, სიფხიზლით, თავდადებითა და გამძლეობით უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სახალხო რესპუბლიკა და მშვიდობისათვის, ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გავყვებით ჩვენს ბელადს—მატიას რაკოშს.

ბულგარეთი

სოფია, 28 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სოფიაში შედგა მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კრება. კრებას დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ პოპტომოვი, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრი გოჩო გროზევი, მშვიდობის დაცვის ბულგარეთის ეროვნული კომიტეტის წევრი, სოფიის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი გეორგი ნაჯაკოვი, ბულგარეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლიუდმილ სტოიანოვი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები და კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოსკოვში მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის მუშაობისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხების ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ამ კოაფერენციაზე, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრმა ცოლა დრაგოჩევამ.

მოხსენების შემდეგ მშვიდობის დაცვის ბულგარეთის ეროვნული კომიტეტის მდივნის პროფესორ პეტრე დიმიტროვის წინადადებით ტაშის გრიალში ერთხმად მიღებულ იქნა მისასალმებელი დეპეშები ი. ბ. სტალინისადმი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისადმი მოსკოვში და მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტისადმი პარიზში.

პოლონეთი

ვარშავა, 29 სექტემბერი. (საკდესი). მთელ პოლონეთში ენერგიულად ემზადებიან მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის შესახვედრად. ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში იქმნება მშვიდობის დამცველთა კომიტეტები.

27 სექტემბერს ვარშავის საწარმოებსა და დაწესებულებებში შედგა მუშა-მოსამსახურეთა კრებები, მძიღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის მომზადებისადმი. მიტინგები და დემონსტრაციები იმართება ქალაქ გროცლავში და გროცლავის საგოვეოდოს სამაზრო ქალაქებში. 1 ოქტომბრამდე ყველა დაწესებულებასა და ყველა საწარმოში შეიქმნება მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომისიები.

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი დ. უზნაძე. მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფესორი ა. ბრეგაძე — „ი. პ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედებაზე", პროფესორი ა. ბოჟორიშვილი — „ი. პ. პავლოვი როგორც მოაზროვნე"; პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. მოსიაკი—„ფსიქოლოგიის საკითხები ი. პ. პავლოვის მოძღვრებაში"; პროფესორი ი. ბაკალავი — „ი. პ. პავლოვის მოძღვრება ფსიქონევროზებზე".

სხდომები შედგება მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

ანდრია რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა

1 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, მიძღვნილი პროფესორ ა. რაზმაძის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი. სხდომაზე მოხსენებებით გამოვლენ: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ა. ხარაძე — „ა. რაზმაძის ცხოვრება და მოღვაწეობა", პროფესორი ა. რუხაძე — „ა. რაზმაძის მეცნიერული შრომები".

თბილისის მშობელთა უნივერსიტეტში

კვირას, 2 ოქტომბერს, მუშაობას განაახლებს თბილისის მშობელთა უნივერსიტეტი. მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტში იქნება ქართული და რუსული სექტორები.

ლექციები მოეწყობა ოთხი ციკლის მიხედვით: ბავშვთა ფიზიკური აღზრდა ოჯახში (დოცენტი გ. ჩარკეშვილი), ბავშვთა გონებრივი აღზრდა ოჯახში (პროფესორი რ. ნათაძე), ბავშვთა ზნეობრივი აღზრდა ოჯახში (პროფესორი გ. თავზიშვილი) და ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა ოჯახში (დოცენტი დ. რამიშვილი).

ამას გარდა, აგრეთვე წაკითხულ იქნება მთელი რიგი ეპიზოდური ლექციები სოციალური აღზრდის და ზოგადი განათლების სხვადასხვა საკითხზე. ლექციებს წასაკითხად მოწვეული არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და სხვა სპეციალისტები.

თბილისის მშობელთა უნივერსიტეტის მუშაობა იწარმოებს მასწავლებლის სახლში (ფუჩეველაძის ქ. № 3). რუსული სექტორის მუშაობას დაიწყებს დღის 11 საათსა და 30 წუთზე, ქართული — დღის 1 საათზე.

„პიონერი" № 8

გამოვიდა ჟურნალი „პიონერი" № 8. ჟურნალი იხსნება ირაკლი აბაშიძის ლექსით — „მიიარე საქართველო". შემდეგ ჟურნალში დაბეჭდილია: მ. ოქროპირიძე და ნ. ეუფუნაშვილი—„ტენების წიაღში", შ. ფორჩხიძე—„დაბრუნება" (ლექსი), ლ. ვარდოსანიძე — „პირველი შეკრება", ა. თოფურია—„გაგვახარებენ ბაღანი", ნ. ნაკაშიძე—„ანასეული", ი. სიხარულიძე—„ცაცხვი" (ლექსი), გ. კელენჯერიძე — „დავით გურამიშვილს", გ. ბაბიშვილი — „რა დაშავეს" (პიესა), ე. ბიშვილი — „მკაში", მ. მრევლიშვილი — „ჯეჯილი" (პიესა), ლ. ჭიჭინაძე — „ზრდილობიანი გოგონა" (პოეტრობა), ა. სოლაგაძე „როგორ ფრინავს თვითმფრინავი" (წერილი), ნ. გვარაძე — „მოგონება", ზ. ედილი — „ხოხობი" (პოეტრობა), ზ. კოგანიძე — „მოსწავლის დღის განრიგი" (წერილი) და სხვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების გ. ფოცხიშვილის, გრ. ჩირინაშვილის და ა. ბაბიძელაძის მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

ჭოლიაჭის გამოსვლა ფლორენციაში

რომი, 27 სექტემბერი. (საკდესი). კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ, რომელიც ფლორენციაში გამოვიდა გაზეთ „უნიტას" სრულიად იტალიის დღესასწაულის გამო გამართულ მიტინგზე, თქვა, რომ ახლანდელი საყოველთაო სახალხო კამპანიის — იტალიის კომუნისტური ბუნდოვანი სიტყვის ერთთვიურის დასაწყისში, მან წინადადება მისცა იტალიელ ხალხს დაფიქრებოდა მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებს. გადუკეთეთ რა ანალიზი პირობებს, რომლებშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, განაგრძო ტოლიატიმ, ჩვენ ამ დასკვნამდე მივედით, რომ ყველ იტალიელს, რომელსაც შეგნებული აქვს ეროვნული მოთხოვნები, არ შეუძლია არ დარწმუნდეს, რომ დადგა მომენტი, როცა რადიკალურად უნდა შეიცვალოს ეროვნული პოლიტიკის კურსი, თუ არ სურს, რომ ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანოს ახალი და უფრო სერიოზული განსაცდელი, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა პირობების შემდგომი გაუარესება, და ჩათრეულ იქნს კატასტროფაში. ჩვენ მოვთხოვდით და კვლავ მოვითხოვთ პოლიტიკური კურსის ამ შეცვლას იმისათვის, რომ უზრუნველყოფთ იტალიელი ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობა, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ეხსნით მისი მშვიდობა და მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ამ უკანასკნელი კვირეების ამბებმა მთლიანად დაადასტურეს ჩვენი ამ მოთხოვნის სამართლიანობა. ვერავინ ვერ დაამტკიცა, რომ ჩვენ მართალი არ ვიყავით, როცა ამბობდით, რომ ასეთი და სხვა უფრო სერიოზული ფაქტების თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ იტალიის პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობა არ იქნება იმ ადამიანთა ხელში, რომელნიც უცხოეთის იმპერიალიზმის სამსახურში გადავიდნენ იმისათვის, რომ თავიანთი პოლიტიკური პოზიციები დაიცვან ჩვენს ქვეყანაში.

იტალიის მდგომარეობას, ამას რომ ვადარებ, რაც ერთი წლის წინათ იყო, და იმას, რაც სხვა ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში ხდება, მე ეიცხადებდი და ვიმეორებ, ხაზგასმით აღნიშნა ტოლიატიმ, რომ, თუ თვალს გადავავლებთ მთელი მსოფლიოს მდგომარეობას, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ მსოფლიო ან, ყოველ შემთხვევაში, მისი საუკეთესო ნაწილი ადგება ახალ გზას, და ამ გზაზე მის შეჩერებას ვერავინ შეძლებს; მე ვამტკიცებდი და ვიმეორებ, რომ ისეთ რეჟიმებს, როგორიცაა კლერიკალურ-რეაქციული რეჟიმი იტალიაში, რომლებიც ხალხთა ინტერესებს ეწინააღმდეგებიან და მოქმედენ უცხოელი იმპერიალისტების ბრძანებათა მიხედვით, ასეთ რეჟიმებს დღე დათვლილი აქვთ! (ტაში).

მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ ცნობებს, რომლებიც მიღებულია ამ დღეებში! ყოფილი ჩინეთის იმპერიის ძველი დედაქალაქიდან — ბეიპინიდან მოიტანეს დიადი ცნობა: იქ შეიკრიბნენ ამ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები, ხელმძღვანელები ჩინეთის სახელოვანი კომუნისტური პარტიისა, რომელიც 20 წლის განმავლობაში ყოველგვარ პირობებში, ყოველგვარი იარაღით უბრალოდ იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, თავისი ხალხის იმტერესებისათვის. მათთან ერთად იქ შეიკრიბნენ ჩინეთის მოწინავე დემოკრატები. იქიდან მთელი მსოფლიოს კურსიდე მიაღწია დიადმა ამბავმა ჩინეთის ახალი ნთავრობის შექმნის შესახებ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ჩინეთის ხალხმა საუთარ ხელში აიღო თავისი ბედი და დღეს მსოფლიოს ეს ნაწილი, ეს თვალუწვდენი ქვეყანა 500 მილიონი მოქალაქით, აგრეთვე ჩადგა თავისუფალი ერების რიგებში, იმ ხალხთა ფრონტში, რომლებიც გამოდიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მუშაობენ და იბრძვიან სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. თუ ვისმე კიდევ ეეჭვება დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის იმ ბრძოლის შედეგი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ვეწეოთ, მან შეხედოს იმას, რაც მთელ მსოფლიოში ხდება, მათ შორის ჩვენგან უალრესად დაშორებულ ქვეყნებში. ყოველი ახალი ამბავი, ყოველი ახალი დღე ადასტურებს, რომ ჩვენი ამედი ჩვენი მუშაობა ამაო როდია, ადასტურებს, რომ მთელი მსოფლიოს სოციალისტურ მსოფლიოდ გადაქცევის გზა ამერიკიდან გასწევდა, და რომ ვერავინ ვეღარ გადალობავს მას!

მაგრამ აი იმპერიალიზმის ერთ-ერთმა მეთაურმა მთელ მსოფლიოში უეცრად გააკრიცა სხვა ამბავი. მან ამერიკისა და მთელ მსოფლიოს, ბალიტა აუწყა, რომ საბჭოთა კავშირსაც აქვს ის საშინელი ატომური იარაღი, რომლის მონოპოლიის შენარჩუნებასაც იკვეხნიდნენ ამერიკელი იმპერიალისტები.

რატომ არის ეს განცხადება გაკეთებული ამ მომენტში? აი კითხვა, ამხანაგებო და მოქალაქენო, რომელსაც გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, იმიტომ რომ ამ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ გრძნობით, რომელიც დაგვეუფლა — იმის გამო სიხარულის გრძნობით, რომ სოციალიზმის ქვეყნის მტრები იძულებული არიან აღიარონ მისი ძალა.

თუ ამერიკის მთავრობის მეთაურმა ასეთი განცხადება გააკეთა, ამაში, უეჭველია, იმალება პოლიტიკური აზრი, რომელსაც უნდა დაფიქრდეთ... მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შეიძლება შეიცავდეს ან უდიდეს საფრთხეს, ან იმედის შუქს კაცობრიობისათვის. დიდ საფრთხეს — იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, თუ როგორია იმ ადამიანთა ბუნება, რომლებიც მეთაურობენ იმპერიალისტურ ჯგუფებს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. ისინი მთელი წლობით იკვეხნიდნენ, თითქოს მათ აქვთ ამ მომაკვდინებელი ატომური იარაღის მონოპოლია და ცდილობდნენ კაცობრიობა დაეფრთხოთ ომის კოშმარით, რომელიც ამუქრება მოსპოს ყველაფერი, ცივილიზაციის უკანასკნელი ნასახიც კი. ამ შანტაჟის საშუალებით ისინი ცდილობდნენ თავს მოეხვიათ ყველა ხალხისა და მთელი მსოფლიოსათვის თავისი განუყოფელი მსოფლიო ბატონობის აღიარება. ამ ადამიანებისაგან შეიძლება ყველაფერს მოველოდეთ, შეიძლება იმასაც კი მოველოდეთ, მე მსურს, რომ ეს ყველაზე უარესი ჰიპოთეზა შემცდარი აღმოჩნდეს, რომ ისინი შეეცდებიან თავიანთი ეს ცნობა, რომელიც ასეთი ხმაურით მოსდეს მთელ მსოფლიოს, გამოიყენონ ამისათვის, რომ დაიჩქარონ გამღიტებული მზადება ომისათვის, გამოიყენონ იმისათვის, რომ გააძლიერონ საომარი პანიკა, იმისათვის, რომ აიძულონ ხალხებისათვის დაკისრებული თავიანთი ჰეგემონიის ტვირთი, ტვირთი თავიანთი პოლიტიკისა, რომელიც კაცობრიობას ახალი კატასტროფისაკენ მიაქანებს.

ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე და სიფრთხილე. შესაძლოა რომ ტრუმენის ამ ეგრეთწოდებული აღმოჩენის გარშემო ამტყდარ ხმაურში იმალებოდეს ცდა — მოამზადონ. ახალი დანაშაულობანი თავისუფალი ხალხების წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. მე მსურს, რომ ეს ჩემი ეარაუდი შემცდარი აღმოჩნდეს, მე მსურს, რომ საქმე ისე იყოს, თითქოს ამერიკის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ეარი არგუმენტი ატომური ბომბი იყო. ამ ბომბით იმუქრებოდნენ ყოველგვარი შემთხვევის დროს და ცდილობდნენ შანტაჟისთვისაც გამოეყენებინათ იგი.

ახლა, განაგრძობს გაზეთი, ატომის მონოპოლიის არგუმენტი აღარ არსებობს. ტრუმენის დიპლომატიამ გამოიყენა თავისი ყველაზე ძლიერი იარაღი და ახლა უიარაღო აღმოჩნდა. მშვიდობის ინიციატივა, უეჭველია, კვლავ საბჭოთა კავშირის ხელშია. საბჭოთა კავშირს არაფერში არ სურს შეცვალოს თავისი პოზიცია ატომური ბომბის მიმართ, ვინაიდან საბჭოთა კავშირისათვის არაფერი არ შეცვლილა.. ისევე, როგორც წინათ, იგი ცდილობს აიკრძალოს ატომური ბომბის წარმოება და დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ატომის ენერგიისადმი.

წინანდელ პერიოდთან შედარებით განსხვავება მხოლოდ ერთია, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, განუსაზღვრელად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის პოზიციები.

მშვიდობის შანსები გადიდდა, წერს დასასრულ გაზეთი, გაიზარდნენ ძალები მშვიდობის ბანაკისა 'და საბჭოთა კავშირისა, რომელიც მათ ხელმძღვანელობს...

ამრიგად, ატომური იარაღი სოციალისტური სახელმწიფოს ხელში, რომელსაც სწყურია ომისაგან დაიცვას მსოფლიო, საბჭოთა კავშირის ხელში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად წარმოადგენს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

რუმინეთი

ბუქარესტი,